ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 195

18 მაისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ. 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №65 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 თებერვლის №19.190.237 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.564.645 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №65 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 80 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ. 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე."

ბ) პირველი პუნქტი ჩამიყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 თებერვლის №19.190.237 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.564.645 განკარგულებით

გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 80 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ველლ ჰაუზისთვის“ (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ამავე განკარგულების №1 დანართის შესაბამისად.“

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 19 200 (ცხრამეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით.“

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**